საერთაშორისო ინსტიტუტების როლი თანამედროვე გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევაში

ნინო გოხელაშვილი
ელ-ფოსტა: n.gokhelahvili@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

გარემოს დაცვის მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების დიდი ძალისხმევის მიუხედავად მსოფლიო სერიოზული გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგას. ბოლო წლებში მკაფიოდ გამოიკვეთა ე.წ. პლანეტის სამმაგი კრიზისი (Triple Planetary Crises), რაც გულისხმობს კლიმატის ცვლილებას, ბიომრავალფეროვნების კარგვას და გარემოს დაბინძურებას. ამასთან, გარკვეული კვლევებისა და მონიტორინგის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ 2015 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „მდგრადი განვითარებისთვის 2030 წლის დღის წესრიგის“ ფარგლებში ჩამოყალიბებული მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs) და ამოცანები, როგორც ე.წ. გლობალური საგზაო რუკა ბუნებრივი სამყაროს აღდგენის პროცესში, სათანადოდ ვერ ხორციელდება.

წარმოდგენილი ნაშრომი მომზადებულ იქნა საერთაშორისო გარემოსდაცვითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული შესაბამისი დოკუმენტების, პუბლიკაციებისა და სხვა წყაროების მიმოხილვისა და ანალიზის საფუძველზე. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ე.წ. პლანეტის სამმაგი კრიზისის მიმართულებებთან დაკავშირებული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების დებულებებისა და მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზნების შესრულების განხილვას და საერთაშორისო ინსტიტუტების როლს ამ მიმართულებებით.